დანართი №3

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:
ეკა ბუთხუზი
თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. გივიშვილი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შპს
საიდენტიფიკაციო კოდი:406520126
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 19.02.2026 წლის N185968 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, დაგვევალა მიმდინარე წლის 16-18 მარტს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. №5;

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, ვიზიტამდე ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის დაწესებულბის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

2026 წლის 16-18 მარტს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი დაწესებულბაში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
საექთნო განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქ. №5

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო განათლება	-	-	-	-

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების	☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ლ ვიშვილი.

მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **■ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **■ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: [redacted]

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საექთნო განათლება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

V სტანდარტი

ინდიკატორი 5.1.2.1
დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (5.1.2 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში 30.11.2026 წელი უზრუნველყოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება.

ინდიკატორი 5.2.2.1 და 5.2.2.2
დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში 30.08.2026 წელი უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ამოქმედდება, ხოლო არაუგვიანეს 30.04.2026 წელი ხელშეკრულებების სწორი აღრიცხვიანობა საქმისწარმოების წესების მიხედვით .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

I სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:
ინდიკატორი 1.1.1.3
ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციით, უმჯობესია დაწესებულების ხედვა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კოლეჯი არის სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტობას, 2032 წლისთვის იპოზიციონირებს და ღირსეულ ადგილს დაიკავებს სამედიცინო მიმართულების კოლეჯების რეიტინგში და ერთგული იქნება ხარისხის კულტურის მიმართ.

ინდიკატორი 1.2.1.1
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია , სასურველია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი, მათ შორის განსაზღვროს:

- *სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ფორმირების ვადები (მაგ., პროცესის დაწყებამდე გონივრული პერიოდი);*
- *სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ეტაპები და თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა;*
- *დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები და შესაბამისი დროითი ჩარჩოები;*
- *პროექტის განხილვის, უკუკავშირის მიღებისა და დოკუმენტის საბოლოო დამტკიცების თანმიმდევრული პროცესი.*

აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების შემუშავება განხორციელდეს თანმიმდევრულად, რაც გააუმჯობესებს დაგეგმვის ხარისხსა და მის რეალურ ეფექტიანობას.

ინდიკატორი 1.2.1.3
ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციით, სასურველია, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები იყვნენ გაზომვადი, ანუ დაფუძნებული შესაბამის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებზე, რაც საშუალებას იძლევა აქტივობა განისაზღვროს დასრულებულად, უზრუნველყოს, ეფექტური მონიტორინგი და შეფასების სიზუსტე.

II სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:
ინდიკატორი 2.2.1.2
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი შინაგანაწესში ან პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის რეგულირებას და შრომის კანონმდებლობის ეფექტურ დაცვას.

III სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:
ინდიკატორი 3.2.1.4
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და რეგულაციებში მკაფიოდ გაწეროს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ, მიზანშეწონილია განისაზღვროს: ინიციატივების ინიცირების პროცედურა, წარმოდგენილი წინადადებების განხილვის ვადები და პირობები, ინიციატივების შერჩევის კრიტერიუმები (მათ შორის, დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით — მაგალითად, წლის განმავლობაში მხარდაჭერილი ინიციატივების შესაძლო რაოდენობა), გადაწყვეტილების მიღების პროცესი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები,უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიციატორისთვის არგუმენტირებული უკუკავშირის მიწოდების ვალდებულება.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

„დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 08.04.2026 წლის №00002804 კორესპონდენციის საფუძველზე დგინდება, რომ შპს „აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი“ ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტს და ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაკორექტირებული დოკუმენტაციაც, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას დასკვნაში ასახოს, ვინაიდან დოკუმენტაციის დასკვნაში ასახვა ეწინააღმდეგება დებულების მოთხოვნებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1.კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1.პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

2.მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მისია ორიენტირებულია კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების საფუძველზე უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურება ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით. აღნიშნული თავსებადია პროფესიული განათლების მიზნებთან. დაწესებულების მისიის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადება, როგორც რეგიონულ დონეზე, ისე ქვეყნის მასშტაბით. მისიიდან იკვეთება, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს დასაქმებადი, კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალი, რომლის ფორმირებაშიც პროფესიული განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან

წარმოდგენილი მისია ასახავს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის მიმართულებას. მისია აქცენტს აკეთებს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ხელშეწყობაზე, რაც განსაზღვრავს მის როლს, როგორც დაწესებულების, რომელიც ოპერირებს პროფესიული განათლების სისტემაში. დაწესებულება აპირებს განახორციელოს ჯანდაცვის და მედიცინის მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებასა და დასაქმებას. პროგრამა საშუალებას აძლევს თითოეულ ინდივიდს წარმატებით ინტეგრირდეს შრომის ბაზარზე და გაზარდოს საკუთარი კონკურენტუნარიანობა. მისიას საფუძვლად უდევს კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებულ, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას. აღნიშნული მიდგომა აძლევს დაწესებულებას უნიკალურ როლს რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებას და განასხვავებს მას სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსგან.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

სამედიცინო კოლეჯის ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება მისიის ძირითად მიმართულებებს. მისია, აქცენტს აკეთებს კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების საფუძველზე უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურება ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით. დაწესებულების ხედვაა 2032 წლისთვის კოლეჯი გახდეს სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტობას, იპოზიციონირებს და ღირსეულ ადგილს დაიკავებს სამედიცინო მიმართულების კოლეჯების რეიტინგში და ერთგული იქნება ხარისხის კულტურის მიმართ. დაწესებულების ღირებულებები - გუნდურობა, ეთიკურობა, თანადგომა, პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი - ასევე თანხვედრაშია მისისს კონცეფციასთან.

კოლეჯი სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი არა 2032 წლისათვის, არამედ ავტორიზაციის მიღებისთანავე უნდა იყოს. *<u>ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციით, უმჯობესია დაწესებულების ხედვა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კოლეჯი არის სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტობას, 2032 წლისთვის იპოზიციონირებს და ღირსეულ ადგილს დაიკავებს სამედიცინო მიმართულების კოლეჯების რეიტინგში და ერთგული იქნება ხარისხის კულტურის მიმართ.</u>*

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე და ცნობილია დაინტერესებული მხარეებისთვის. ინფორმაცია გამოქვეყნებულია კოლეჯის ოფიციალურ საიტზე, რაც უზრუნველყოფს ტრანსპარენტულობას, ანგარიშვალდებულებას და სტრატეგიული მიმართულებების გაგებას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან.

დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით - ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი (დამტკიცების ბრძანება N7; 09.09.2025);
- ვებგვერდი https://www.academmedical.edu.ge/
- პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ-ს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

ქალაქის სამედიცინო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის მოთხოვნების მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლი მოიცავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და ეტაპებს: 7 წლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებას, განხილვას, დამტკიცებას, გამოქვეყნებასა და შესრულების მონიტორინგს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან კოლეჯის თანამშრომლები, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ან/და სხვა დაინტერესებული პირები. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები მუშავდება გუნდურად, კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების აქტიური ჩართულობით და დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს. დოკუმენტი ასევე მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების საკითხებს (მუხლი 4), რომლის მიხედვითაც სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ კეთდება, ხოლო სტრატეგიულ გეგმის - სამნახევარწლიანი შუალედურ ანგარიშში აისახება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. დაწესებულებამ საავტორიზაციო დოკუმენტებთან ერთად, ასევე წარმოადგინა 2026-2032 წლის სტრატეგია.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია , სასურველია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაწეროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი, მათ შორის განსაზღვროს:

- *სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ფორმირების ვადები (მაგ., პროცესის დაწყებამდე გონივრული პერიოდი);*
- *სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ეტაპები და თითოეული ეტაპის ხანგრძლივობა;*
- *დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები და შესაბამისი დროითი ჩარჩოები;*
- *პროექტის განხილვის, უკუკავშირის მიღებისა და დოკუმენტის საბოლოო დამტკიცების თანმიმდევრული პროცესი.*

აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების შემუშავება განხორციელდეს თანმიმდევრულად, რაც გაუმჯობესებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დაგეგმვის ხარისხსა და მის რეალურ ეფექტიანობას.</u>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

2.პსდ სტრატეგიული დაგეგმვისას უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისა ჩართვასა და მათი მოლოდინების, მ.შ. ქვეყნის/რეგიონული/თემის პრიორიტეტების გათვალისწინებას.

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის მოთხოვნების მიხედვით. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები მუშავდება გუნდურად, კოლეჯის თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობით და დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს კოლეჯის მისიაში გაცხადებულ მიზნებთან და ორიენტირებული უნდა იყოს მათ შესრულებაზე. სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს SWOT ანალიზს ან შესაბამის კვლევებს/პროგნოზებს. სტრატეგიული გეგმა უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3-5 მსხვილი მიზნისაგან და ითვალისწინებდეს იმ ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს

სტრატეგიულ გეგმებში იდენტიფიცირებულია შესაბამისი ამოცანები, განსაზღვრულია მათი განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის ლოგიკურ სტრუქტურასა და შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას. სამოქმედო გეგმების ფარგლებში ასევე გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები და განსაზღვრულია მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, რაც მიუთითებს დაგეგმვის პროცესის პრაქტიკულობასა და რეალისტურობაზე. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასებისთვის, ასევე რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენებისთვის.

<u>ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციით, სასურველია, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები იყვნენ გაზომვადი, ანუ დაფუძნებული შესაბამის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ კრიტერიუმებზე, რაც საშუალებას იძლევა აქტივობა განისაზღვროს დასრულებულად, უზრუნველყოს, ეფექტური მონიტორინგი და შეფასების სიზუსტე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ქვიშვილი.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება **ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის დამტკიცებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბრძანება N7, 09 სექტემბერი, 2025 წელი);
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის განვითარების სტრატეგია 2026-2032 წწ;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების ბრძანება;
- ვებგვერდი https://www.academmedical.edu.ge/
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა
1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი". აღნიშნული დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების მონიტორინგის პროცესის საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებაში დანერგილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. მონიტორინგი ხორციელდება განსაზღვრული პერიოდულობით (შუალედური და წლიური ანგარიშების ფორმატში), რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი მიზნებისა და ამოცანების შესრულების პროგრესის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას. განხილვის პროცესში უზრუნველყოფილია დანტერესებული მხარეების ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას შესრულების ინდიკატორების არსებობა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს თვალი ადევნოს გეგმის იმპლემენტაციას და დროულად აღმოაჩინოს შექმნილი სირთულეები. მონიტორინგი კი, გულისხმობს გეგმის შესრულების თვალყურის დევნებას და დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/შეფასებას. მონიტორინგი აგრეთვე ეხმარება კოლეჯს თანამშრომლებისთვის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებაში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტებს წარმოადგენს:

ა) სტრატეგიული გეგმა;

ბ) სამოქმედო გეგმა;

გ) მარეგულირებელი დოკუმენტები;

დ) სამოქმედო გეგმაში წელიწადში ორჯერადი, ხოლო სტრატეგიულ გეგმაში - სამნახევარწლიანი შუალედური ანგარიში, ერთწლიანი სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს, როგორც შიდა, ისე გარე შეფასების შედეგებზე.

დაწესებულების მარეგურილებელი დოკუმენტი ითვალისწინებს შიდა და გარე შეფასების მექანიზმს. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან 6 თვიანი ანგარიშების წარდგენას სამოქმედო გეგმის, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში - სამნახევარწლიანი შუალედური ანგარიშის წარდგენას ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე, წერილობითი/ელექტრონული ფორმით.
მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი თავის მხრივ ამზადებს მონიტორინგის 6 თვიან/წლიურ ჯამურ ანგარიშს და იწვევს სხდომას მომდევნო 6 თვის/წლის პირველ კვირაში. მონიტორინგის 6 თვიან/წლიურ ჯამურ ანგარიშს განსახილველად წარუდგენს თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირებსა და კოლეჯის დირექტორს. ანგარიშის წარდგენის შემდგომ ხარისხის მართვის მენეჯერი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადახედვაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია

დაწესებულების მარეგურილებელი დოკუმენტის მიხედვით, 6 თვიანი/წლიური მონიტორინგის შედეგების ანალიზი გადაეცემა სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფს, რომლის საფუძველზეც იქმნება შესაბამისი საბოლოო ანგარიში და ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე.
ვიზიტის დროს გასაუბრებებისას წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჯაროობას სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის შიდა და გარე შეხვედრების ფარგლებში, სადაც ინფორმაცია გაზიარებული იქნება დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს გამჭვირვალობის პრინციპის განხორციელებაზე და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ფართო აუდიტორიისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის დამტკიცებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (ბრძანება N7, 09 სექტემბერი, 2025 წელი);
- დაწესებულების შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2026-2032); დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანება N8, 09 სექტემბერი, 2025 წელი;
- დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2026), დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანება N9, 09 სექტემბერი, 2025 წელი;
- დაინტერესებულ პირებთან ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმების გაცნობის დასწრების დოკუმენტი;
- ვებგვერდი https://www.academmedical.edu.ge/
- პერსონალის გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება N22, 23.10.2025, ბოლო ცვლილება N02, 06.03.2026) და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება № 21, 20.10.2025) არეგულირებს შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის, შეწყვეტის, შიდა და გარე მობილობის საკითხებს, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი, რომლის მიზანია კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს შეუქმნას სწავლის ნორმალური პირობები, უზრუნველყოს აღნიშნული მატერიალური რესურსებით შეუფერხებელი სარგებლობა. მიზნის მისაღწევად დაწესებულება უზრუნველყოფს კოლეჯის შენობა-ნაგებობების, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ოთახების და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. პსდ-ში პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მოქმედი რეგულაციებისა და შიდა პროცედურების თაობაზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს იცნობდნენ საკუთარი უფლებების დაცვის გზებს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ შესაბამისი მექანიზმები. კოლეჯი ორიენტირებულია სტუდენტების სრულყოფილ სერვისზე, რაც მათი უფლებების დაცვას გულისხმობს. პერსონალის ფუნქციებში კომპეტენციის ფარგლებში გაწერილია სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია;

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სტუდენტთა შეფასების სისტემისა და საჭიროების შემთხვევაში, შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, მოდულის ყველა შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 5 დღის ვადაში. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების ან გამოცდის შეფასებას, უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს. შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი (პროდუქტი, პროექტი ან სხვა ნაშრომი) ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილ იქნას კოლეჯის შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა. საჩივრის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი იქნებიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4.პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში. დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, რაც ქმნის სამართლებრივად დაცულ და გამჭვირვალე ურთიერთობას საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში. ხელშეკრულება ითვალისწინებს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკას, მათ შორის კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობასა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5.პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს პროფესიული სტუდენტების ჩართულობით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. პროცესი სრულად ემყარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს როგორც სამართლებრივ დაცულობას, ასევე სტუდენტების მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის მაქსიმიზაციას მათი პირადი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული საკითხი გაწერილია დაწესებულების სასწავლო წესის მარეგურილებელი დოკუმენტის მე-15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუხლში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეს არის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება № 21, 20.10.2025);
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, ბრძანება N22, 23.10.2025, ბოლო ცვლილება N02, 06.03.2026);
- მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანება №28; 03.12.2025);
- სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში/ნიმუშები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2.პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1.პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ქცევის წესებს მე-2 მუხლი ეხება პროფესიული სტუდენტების უფლებებს და მოვალეობებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სისტემური აკადემიური კონსულტაცია და მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და სასწავლო პროცესში ეფექტიან ჩართულობას. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო და დამხმარე რესურსებით, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საშუალებებით, ასევე მიიღოს დაწესებულების ადმინისტრაციისგან სრულყოფილი ინფორმაცია საკუთარი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და რესურსების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება რომ ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი მიიღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

დაწესებულება ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების ადაპტაციას. პირველივე დღეებში, კოლეჯის ადმინისტრაცია გააცნობს სასწავლო სივრცეებს, ცხრილს, განუმარტავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის სათანადო რეგულაციებს და გონივრულ ვადებში მოახდენს რეაგირებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე. დაწესებულება პერიოდულად ჩაატარებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას კოლეჯის მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

პასუხისმგებელი პირი პროფესიულ სტუდენტებს გააცნობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსა და ვადებს. ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლები მათი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის მომართვიანობისას საჭირობისამებ გაუწევენ ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და კონსულტირებას შეფასების, დამატებითი და განმეორებითი შედეგების დადასტურების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული საკითხები გაწერილია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგურილებელ დოკუმენტში.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში გაუწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმს. პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივებს პირველ ეტაპზე განიხილავს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. მის კომპეტენციას დაქვემდებარებულ ინიციატივასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, ხოლო მომართვიანობა, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებთან, წინადადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შესაბამისი მხარდაჭერის მიზნით. პროფესიულ სტუდენტს შესაძლოა უარი ეთქვას ინიციატივის დაკმაყოფილებაზე, თუ მომართვიანობა სცდება ფორმალური და არაფორმალური განათლების მიზნებს.

<u>ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს და რეგულაციებში მკაფიოდ გაწეროს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. კერძოდ, მიზანშეწონილია განისაზღვროს: ინიციატივების ინიცირების პროცედურა, წარმოდგენილი წინადადებების განხილვის ვადები და პირობები, ინიციატივების შერჩევის კრიტერიუმები (მათ შორის, დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით — მაგალითად, წლის განმავლობაში მხარდაჭერილი ინიციატივების შესაძლო რაოდენობა), გადაწყვეტილების მიღების პროცესი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები,უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიციატორისთვის არგუმენტირებული უკუკავშირის მიწოდების ვალდებულება.</u>

ამასთან, დაგეგმილი აქტივობების განხორციელების ნაწილში უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები და საჭირო რესურსები.

აღნიშნული პროცედურების რეგულაციებში დეტალურად გაწერა უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და სტუდენტთა ჩართულობის რეალურ გაძლიერებას.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას და შედეგების გაანალიზებას შემდგომი რეაგირების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ყველა სტანდარტშია ინტეგრირებული. შესაბამისად, კოლეჯი გამოხატავს მზადყოფნას გააუმჯობესოს საკუთარი საქმიანობა, თითოეული პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უწყვეტი ციკლით. ხარისხის მართვის პროცესი კოლეჯში ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა კითხვარები, პირისპირ ინტერვიუ და სხვა. შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში განახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას და კვლევის ანალიზს გამოიყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის.

დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული აქვს სტუდენტთა კითხვარები. პროფესიულ სტუდენტთა კითხვარები მოიცავს ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტთა უფლებების გაცნობისა და დაცვის, კარიერული მხარდაჭერის არსებობის/კმაყოფილების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომის შესახებ და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება გააუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ქცევის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება №23, 27.10.2025);
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება №19; 10.10.2025);
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება №26, 20.11.2025);
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტუდენტთა, კუსდამთავრებულთა კითხვარების ნიმუშები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიაში გაწერილია დაინტერესებული პირების პროფესიულ განათლებაში მოზიდვის, ჩართვისა და პროფორიენტაციის წარმართვის პროცესი. დოკუმენტი აღწერს პროფესიული სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციის ამაღლების და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებს, კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოძიების გზებსა და მათი დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, რაც გულისხმობს ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას – ღონისძიებათა ფართო სპექტრს. აღნიშნული პირს დაეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა.

კარიერის დაგეგმვა ეხმარება პიროვნებას, გააკეთოს არჩევანი განათლების, ტრენინგისა და დასაქმების თემასთან დაკავშირებით პროცესი ეფუძნება თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ მდგომარეობას – ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოტივაციას, სხვადასხვა ფასეულობას. ის ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იმ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობით მომხმარებელი იძენს შრომის ბაზრისათვის საჭირო ცოდნას.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომლის რეგულირების სფეროს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების/სტაჟირების ხელშეწყობა, კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მიღება დასაქმების შესახებ.

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერას, რაც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობას დასაქმების ფორუმებსა და ღონისძიებებში, ინდივიდუალური ან ერთობლივი შეხვედრები მოწყობას კარიერული განვითარებისა და პროფესიული მიზნების სწორი კონსულტირების მიზნით; დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში პარტნიორი კომპანიების მოთხოვნით პროფესიული სტუდენტების შერჩევას. კურსდამთავრებულების მონაცემების მართვას, რაც გულისხმობს დასაქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიებასა და სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფორიენტაციასა და კონსულტირებას კოლეჯში ახორციელებს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებული ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ფაქტობრივი გარემოებების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად მიაწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი არეგულირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, დაწესებულების შესაბამისი სამსახურები იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების/სტაჟირებას. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა კითხვარები, რომლითაც ხდება სხვადასხვა კომპონენტების კვლევა (რა ცოდნა შეიძინა კოლეჯში, დასაქმების შემთხვევაში გამოადგა თუ არა კოლეჯში მიღებული ცოდნა, რა უნარების გამომუშავებას ისურვებდა კოლეჯში სწავლისა და ა.შ.). კვლევის მიზანია ხელს შეუწყოს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პერიოდულად ჩაატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

რეგულაციების მიხედვით, დაწესებულება კარიერული მომსახურების ეფექტიანობის შესაფასებლად პერიოდულად ჩაატარებს კვლევებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობით. კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირი გამოიყენება კარიერული სერვისების განვითარების მიზნით, მათ შორის კონსულტაციების შინაარსის გაუმჯობესების, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაფართოების, სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების დახვეწის მიმართულებით. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კარიერული მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და სტუდენტების საჭიროებებზე უკეთ მორგებას.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება №19; 10.10.2025);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანება №26, 20.11.2025);
- პროფესიულ სტუდენტთა, კუსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კითხვარების ნიმუშები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. **ადამიანური რესურსები**

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯს“ დამტკიცებული აქვს 2025 წლის 08 სექტემბრის N6 ბრძანებით საშტატო ნუსხა და ორგანიზაციული სტრუქტურა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კოლეჯის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ პოზიციებს: დამფუძნებელი, დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ბუღალტერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, იურისტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ექთანი, დაცვის სამსახურის თანამშრომელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დიასახლისი.

წარმოდგენილი სტრუქტურა ასახავს დაწესებულების მართვის სისტემას და უზრუნველყოფს ფუნქციების განაწილებასა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას. სტრუქტურაში დაცულია იერარქიული დაქვემდებარება.

დაწესებულებაში მოქმედებს დოკუმენტი – „შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები“, რომელშიც განსაზღვრულია საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციების ფუნქციები, უფლებამოსილებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება, რაც უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის რეგულირებასა და მართვის პროცესის ეფექტიან განხორციელებას.
თითოეული სტრუქტურული ერთეულის /პოზიციის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამიჯნული, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობებში ნაჩვენებია მათი ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული პრაქტიკა გამორიცხავს ფუნქციათა დუბლირებას და უზრუნველყოფს საქმიანობის კოორდინირებულ, ეფექტურ განხორციელებას დაწესებულების მიერ დასახულ მისიის, ხედვისა და სტრატეგიული ამოცანების/მიზნების შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

დაწესებულებაში დირექტორის 2025 წლის 02 ოქტომბრის N 17 ბრძანებით დამტკიცებულია – „შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები“, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული კოლეჯში დასაქმებული პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია ანგარიშვალდებულების მექანიზმები.
კოლეჯში დასაქმებული პირები ანგარიშვალდებული არიან დირექტორის წინაშე, ამასთან ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრულია უშუალო დაქვემდებარების სისტემაც. კერძოდ, სასწავლო პროცესის მენეჯერს უშუალოდ ექვემდებარებიან პროგრამის ხელმძღვანელი და ბიბლიოთეკარი, ხოლო ლოჯისტიკის მენეჯერს – ექთანი, დიასახლისი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დაცვის სამსახურის თანამშრომელი.
სშტატო ერთეულისათვის /პოზიციისთვის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობების მიხედვით პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობების გადანაწილება არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულებაში პერსონალისათვის დელეგირებულ ფუნქციებთან.
აღნიშნული უზრუნველყოფს ფუნქციების მკაფიო გადანაწილებას, პასუხისმგებლობების განსაზღვრასა და მართვის პროცესის ეფექტიან განხორციელებას დაწესებულებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. მისი ძირითადი ფუნქციაა კოლეჯში მიმდინარე პროცესებისა და საქმიანობის მონიტორინგი, შეფასება, კონტროლი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის კოორდინაციას კოლეჯში. მისი საქმიანობა მოიცავს ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელების მონიტორინგს, კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის შეფასებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან, ასევე ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მონიტორინგსა და შეფასებას.

ამასთან, ხარისხის მართვის მენეჯერი მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის პროცესში, შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფის ფარგლებში ამზადებს ანგარიშებს და პროგრამების განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. იგი ასევე მონაწილეობს კოლეჯის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებაში და კოორდინაციას უწევს კოლეჯის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესს.

აღნიშნული ფუნქციები ხელს უწყობს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებასა და საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესება. შემუშავებული და დამტკიცებულია ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს დაწესებულებაში მიმდინარე და დაგეგმილი პროცესების მონიტორინგს და ანგარიშგებას.

პერსონალთან განხორციელებული გასაუბრების შედეგები ადასტურებს, ხარისხის მართვისას ხარისხის მართვის მენეჯერის და სხვა პასუხისმგებელი პირების ფუნქციები მკაფიოდ გამიჯნულია, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს პროცესების ობიექტურობას, დამოუკიდებლობასა და ხარისხის მართვის ეფექტიანობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის სტრუქტურა;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა (დამტკიცების ბრძანება N31; 16.12.2025) ;
- პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

კოლეჯში ფუნქციონირებს „შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“, რომელიც არეგულირებს თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის პროცესს და უზრუნველყოფს დაწესებულების საჭირო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით დაკომპლექტებას.

დადგენილია, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა მიმართულია კოლეჯის მიზნების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად და განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებსა და მექანიზმებს. დოკუმენტი მოიცავს პერსონალის დაგეგმვის, მოზიდვის, შერჩევის, განვითარების, შეფასებისა და წახალისების პროცესებს, რაც ქმნის პერსონალის მართვის ერთიან და სისტემურ ჩარჩოს.

პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, თანასწორობა და გამჭვირვალობა. კერძოდ, გადაწყვეტილებები მიიღება ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით; უზრუნველყოფილია თანამშრომელთა თანასწორი და მიუკერძოებელი მოპყრობა; ხოლო პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება ღიაობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით.

ამასთან, დაწესებულებაში მოქმედებს „შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის შინაგანაწესი“, რომლის მიხედვითაც შრომითი ურთიერთობები ეფუძნება მხარეთა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებს. შინაგანაწესი მოიცავს საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ინფორმაციას, დასქმებული პირები ხელშეკრულებებზე ხელმოწერით ადასტურებენ შრომის შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

კოლეჯის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს შესაბამისი კომპეტენციის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა და მათი ეფექტიანი ადაპტაცია-ორიენტაცია სამუშაო გარემოში.

შერჩევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონკრეტული პოზიციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შესაბამისობას. ამასთან, განსაზღვრულია, რომ კოლეჯის პერსონალი უნდა იზიარებდეს ორგანიზაციის ძირითად ღირებულებებს, მათ შორის: შედეგსა და განვითარებაზე ორიენტაციას, სიახლეებისადმი ღიაობას, გუნდურ მუშაობას და პასუხისმგებლობას.

პერსონალის შერჩევა ხორციელდება დანიშვნის და/ან ღია კონკურსის საფუძველზე. კონკურსის მიზანია წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად საუკეთესო კანდიდატის შერჩევა და ვაკანტურ პოზიციებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დადგენილია, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია შესაძლოა გამოქვეყნდეს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე ან/და დასაქმების პლატფორმებსა ან/და სოციალურ ქსელებში, რაც ხელს უწყობს პროცესის გამჭვირვალობას.

კოლეჯის ადამიანური რესურსი მოიცავს როგორც საშტატო ნუსხით განსაზღვრულ პერსონალს, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებს.

ასევე განსაზღვრულია, რომ პერსონალის მიღება შესაძლებელია ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, დირექტორთან გასაუბრებისა და კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ.

კოლეჯის პერსონალის სამსახურში მიღება ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი წესებისა და პროცედურების სრული დაცვით. აღნიშნულს ადასტურებს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერებთან, ასევე პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

კოლეჯში მოქმედებს დოკუმენტი – „შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც არეგულირებს პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ შესაბამისი თანამდებობების დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სამსახურში მიღების წესს.
დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევისას გამოყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც მიზნად ისახავს კანდიდატის განათლების, კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევების, გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასებას. აღნიშნული მოთხოვნები მოიცავს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის ფლობას, პროფესიულ გამოცდილებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებით უნარებსა და ასევე სხვა შესაბამისობის კრიტერიუმებს.
დადგენილია, რომ თითოეული კანდიდატი ვალდებულია აკმაყოფილებდეს შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
პერსონალის სამსახურში მიღების საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე და, საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმება და მათი შესაბამისობის შეფასება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
დადგენილია, რომ პერსონალის პირადი საქმეები სრულად მოიცავს ყველა იმ სავალდებულო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნებითა და პერსონალის პირადი საქმის წარმოების წესით, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ცნობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დადგენილია, რომ კოლეჯში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის კულტურა, რაც გამოიხატება ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებაში თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობაში.
კერძოდ, თანამშრომლები მონაწილეობენ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და სხვა ორგანიზაციულ საქმიანობებში, რაც ხელს უწყობს კოლეჯში კოლეგიალური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემოს ფორმირება

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N15; 26.09.2025) ;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის შინაგანაწესი(დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N 10; 12.09.2025) ;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება N 16; 30.09.2025);
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

კოლეჯში დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მუხლი 8. პერსონალის შეფასების წესით განსაზღვრულია პერსონალის შეფასების სისტემა, რომლის მიზანია თანამშრომელთა მიერ დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანად შესრულების ხელშეწყობა და ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი ინდივიდუალური მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა.

პერსონალის შეფასება, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა და საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამშრომლების, ხორციელდება წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის ბოლოს. განსაზღვრულია შეფასების პროცესის წინასწარი კომუნიკაციისა და შედეგების გაცნობის ვადები: პერსონალი ინფორმირდება შეფასების დაწყებამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე, ხოლო შეფასების შედეგები მათ ეცნობებათ პროცესის დასრულებიდან ერთთვიან ვადაში.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას, აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას, ასევე პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დროულ გამოვლენასა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრას.

ამასთან, შეფასების ფარგლებში ხორციელდება პერსონალის საქმიანობის ანალიზი როგორც საგანმანათლებლო, ასევე ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ მიმართულებებში, ხდება თანამშრომელთა შესაძლებლობების გამოვლენა და მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. სისტემა ასევე უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, სუსტი მხარეების გამოვლენას და შესაბამისი მხარდაჭერის დაგეგმვას.

კოლეჯის პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება მისი უშუალო ხელმძღვანელის ან დირექტორის მხრიდან თანამშრომლის შეფასება, რომლის საშუალებითაც დგინდება თანამშრომლის მიერ წლის განმავლობაში გამოვლენილი სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კომპეტენციები და მათი ხარისხი.
აღნიშნული პროცესის წარმართვაზე, მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, რომელიც საბოლოოდ დამუშავებულ შედეგებს წარუდგენს დირექტორს/უშუალო ხელმძღვანელს.
დირექტორი/უშუალო ხელმძღვანელი პირისპირ, ინდივიდუალური კომუნიკაციის საშუალებით, თანამშრომელს აცნობს შეფასების საერთო შედეგებს და გამოყოფოს იმ ძირითად კომპეტენციას/უნარს, რომელიც საჭიროებს განვითარებას/გაუმჯობესებას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის/უშუალო ხელმძღვანელის ჩართულობით ხდება ერთობლივი განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც შეიცავს შემდეგ აქტივობებს: არსებული პრობლემების განსაზღვრა; თანამშრომლისადმი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა; მიღწევების აღრიცხვა და დაფასება; მომავალი სამუშაო გეგმის შემუშავება; იმ სფეროების იდენტიფიკაცია, სადაც საჭიროა დამატებითი სწავლება-ტრენინგები. შეფასების შედეგებისა და განსაკუთრებული მიღწევების მქონე თანამშრომლების მოტივაციის ამაღლების მიზნით გამოიყენება წახალისების სხვადასხვა მეთოდი: მადლობის გამოცხადება; კოლეჯის ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე საუკეთესო შედეგებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება დასაქმებულის თანხმობის საფუძველზე; დაწინაურება; ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემია); კარიერული ზრდა და სხვა.
თანამშრომელთა შეფასების არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს ისეთი სანქციები, როგორიცაა: წერილობითი გაფრთხილება; გადამზადება; თანამდებობრივი დაქვეითება; გათავისუფლება.
არაეფექტურად შესრულებული სამუშაოს მართვისა და გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯის მიერ მიღებული წერილობითი გაფრთხილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხილულ იქნეს პირის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალის 2026 წლის განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება პირველადი კვლევის შედეგებს და მოიცავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

კოლეჯი პერსონალის განვითარების მიზნით არანაკლებ წელიწადში ერთხელ ახორციელებს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას, რაც ემსახურება ინდივიდუალური და ორგანიზაციული საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება პირველადი კვლევის შედეგებს და მოიცავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს.

მიმდინარე წლის გეგმის ფარგლებში დაგეგმილია და ნაწილობრივ განხორციელების ეტაპზეა შემდეგი ტრენინგები: პერსონალურ მონაცემთა დაცვა; კალენდარული გეგმის შედგენა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება; სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდები და მექანიზმები; კიბერუსაფრთხოება; ეფექტური კომუნიკაცია; საქმისწარმოება; პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში; კარიერის მართვა; ასევე ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებული ტრენინგები.

ტრენინგების ციკლი დაწყებულია და მისი განხორციელება გაგრძელდება წლის ბოლომდე, რაც მიუთითებს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

კოლეჯის პროფესიული განვითარების სისტემა მიზნად ისახავს თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, მათ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლების გზით.

ამ მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს:

- ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობას;
- თანაბარ პირობებს პროფესიული ზრდისთვის;
- განვითარების პროცესის შემდეგ კომპონენტების არსებობას: კონფერენციებში, ტრენინგებში, სემინარებში, მასტერკლასებში, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა განვითარების აქტივობებში მონაწილეობა.

დაწესებულებას აქვს შემუშავებული **პერსონალის განვითარების გეგმა**, რომელიც ეფუძნება პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგებს და მოიცავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულ აქტივობებს.

პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებისათვის დაგეგმილია ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით:

- სწავლება და შეფასება;
- სასწავლო პროცესის სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებზე სწავლება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მუხლის 9. ახალი თანამშრომლის ადაპტაცია და სამუშაო ადგილით დასაქმებულის უზრუნველყოფა შესაბამისად: ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში შესაძლოა ჩართულნი იყვნენ რამდენიმე მხარე:

ახალი თანამშრომელი - მონაწილეობს ადაპტაციის პროცესში გათვალისწინებულ აქტივობებში; უზრუნველყოფს უკუკავშირს ადაპტაციის პერიოდში. **ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი** - პასუხისმგებელია ახალი თანამშრომლის სამუშაო ადგილის მოწყობაზე; უზრუნველყოფს ადაპტაციის პროცესის მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემუშავებასა და მიწოდებას; ახალ თანამშრომელთან აწარმოებს რეგულარულ კომუნიკაციას და უზრუნველყოფს ძირითადი ინფორმაციისა და რესურსების მიწოდებას (საჭირო დოკუმენტაცია, საორიენტაციო ტრენინგები); აგროვებს უკუკავშირს თანამშრომლისა და მისი უშუალო ხელმძღვანელისგან; მართავს ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესს მთელი გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში. **უშუალო ხელმძღვანელი** - პასუხისმგებელია თანამშრომლის მიზნების დასახვასა და დავალებების მიცემაზე; ახორციელებს შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და უკუკავშირის მიცემას. **კოლეჯში დასაქმებული პირი**- თანამშრომლის კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება ახალ თანამშრომელს ფუნქციის შესრულებაში; უზრუნველყოფს დავალების გააზრებას და გამოცდილების/სფეროს სპეციფიკის ცოდნის გაზიარებას. ახალი თანამშრომლის წარდგენა პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია საორიენტაციო ტრენინგი, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, საჭირო ახალ თანამშრომლის საქმიანობისთვის, ორგანიზაციის ღირებულებების გასაზრდელად და შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობისათვის.

ტრენინგის ძირითადი საკითხები: დაწესებულების საქმიანობის სფერო და სტრატეგიული მიზნები; ორგანიზაციის მიღწევები; ორგანიზაციის ღირებულებები; ინფრასტრუქტურის გაცნობა (სართულები, აუდიტორიები და სხვა); საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საშუალებები (სტანდარტული შაბლონები, შიდა დოკუმენტები და სხვა); კორპორატიული ღონისძიებები, მათ შორის ღონისძიებების ფოტომასალა (არსებობის შემთხვევაში). სამუშაო ადგილით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა

პასუხისმგებელნი პირები: ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, ლოჯისტიკის მენეჯერი, საინფორმაციო მენეჯერი;

უზრუნველყოფენ სამუშაო სივრცის მოწყობის ყველა კომპონენტის გამართულობას, სამუშაო ადგილის მომზადებას, სამუშაო იუზერისა და კორპორატიული ელფოსტის გახსნას, საკანცელარიო საშუალებებით უზრუნველყოფას და სხვა საჭირო რესურსებს.

აღნიშნული მექანიზმების ეფექტურობის შესამოწმებლად განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის პერსონალთან, რომლებმაც დაადასტურეს ადაპტაციის პროცესის განხორციელება სამუშაო დაწყების ეტაპზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის **მუხლი 7. პერსონალის განვითარება** საფუძველზე: კოლეჯის პროფესიული განვითარების სისტემა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, მათ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების ამაღლების გზით. კოლეჯი უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლისათვის განვითარების ხელმისაწვდომობას, თანაბარ პირობებს და განვითარების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტების განსაზღვრას, მათ შორის ფუნქცია-მოვალეობების რეგულარულ გადახედვას, კონფერენციებში, ტრენინგებში, სემინარებში, მასტერკლასებში, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა განვითარების აქტივობებში მონაწილეობას, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას, სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფას და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს. თანამშრომლის პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება შესაძლებელია უშუალო ხელმძღვანელის ან დირექტორის მიერ. კოლეჯი არანაკლებ ყოველ კალენდარულ წელიწადში ერთხელ უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, მათი საჭიროებების დადგენასა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. თანამშრომლის ინიციატივებს პირველ ეტაპზე განიხილავს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, რომელიც კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ინიციატივა დაკავშირებულია ადამიანურ, ფინანსურ ან მატერიალურ რესურსებთან, მენეჯერი წინადადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. კოლეჯის თანამშრომელს შესაძლოა უარი ეთქვას ინიციატივის დაკმაყოფილებაზე, თუ ის სცდება კოლეჯის წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება(დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N15; 26.09.2025)
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის შინაგანაწესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N 10; 12.09.2025)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული დირექტორის ბრძანება N31; 16.12.2025)
- პერსონალის განვითარების გეგმა 2026წ;
- პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

•

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის“ მდებარეობა არის ქალაქ რუსთავში, შევჩენკოს ქუჩა N5. აღნიშნულ მისამართზე დაწესებულებას, იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლებით(გაფორმებული 2025 წლის 23 ივნისს), გადაცემულია 190,5 კვ.მ. ფართი (შენობა N5) და მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 02.04.03.669, იჯარის ვადა 2034 წლის 23 ივნისი. ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების დათვალიერება, კერძოდ: შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულზე განთავსებულია: ფოიეები/სასწავლო/ადმინისტრაციული ფართები, პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, ბიბლიოთეკა, თეორიული კომპონენტის აუდიტორია, კომპიუტერების კლასი, სტუდენტთა სივრცეები, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე, სანიტარიული კვანძები საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში დამონტაჟებულია პანდუსი. ექსპერტთა შეფასებით ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და ჯგუფში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას სივრცეები კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯს“ აქვს შემუშავებული „მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, რომელიც განსაზღვრავს საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვისა და თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მატერიალური რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების მექანიზმებს. დაწესებულება აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისთვის საკმარისი რაოდენობის, შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის ან მატერიალურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირის ნებართვისა და პასუხისმგებლობის ქვეშ გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა, მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. კოლეჯის თანამშრომელსა და პროფესიულ სტუდენტს თანაბარი უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

შენობების შიდა და გარე პერიმეტრის დალაგება - დასუფთავებას ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოფს შესაბამისი პერსონალი. ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების პრევენციული პოლიტიკა და წესი არეგულირებს სანიტარული ნორმების თანმიმდევრული აღსრულების მექანიზმს. სანიტარულ ნორმებზე რეაგირება აუცილებელია ადამიანების გადაუდებელი დახმარების, გადამდები დაავადებების პრევენციისა ან მათზე რეაგირების დროსაც, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების დაზიანება.ექსპერტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დათვალიერებით , დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება **ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**

4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

დაწესებულებია სრულად აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. გათბობის სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა და წესი, რომლის პრაქტიკული ნორმები სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის, ვინც პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოებისა და სტანდარტების დაცვაზე.

შრომის უსაფრთხოების პრევენციული პოლიტიკის მთავარი მიზანია კოლეჯის სასწავლო სივრცეში უზრუნველყოს ადამიანისთვის უსაფრთხო გარემო და უსაფრთხო სამუშაო პროცედურები. მიზნის მიღწევისათვის პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგ ამოცანებს: კოლეჯის მმართველობის ნებისმიერ დონეზე პოლიტიკის მნიშვნელობისა და ეფექტურობის გააზრება; კოლეჯის ტერიტორიაზე ნებისმიერ სამუშაო პროცესში პოლიტიკით განსაზღვრული დებულებების დაცვა; ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის ზიანის მიყენების გამომრიცხველი პრევენციული მექანიზმების შემუშავება; პოლიტიკის დებულებების ეფექტური აღსრულებისთვის სათანადო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა) მიმართვა; კოლეჯის გარემოს სისტემური და კვალიფიციური შეფასება და ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრა; პოლიტიკის თანმიმდევრული განვითარებისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სამუშაო პროცესებისა და გარემოს მუდმივი სრულყოფა.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია რისკების მართვის სქემები, ნარჩენი რისკების მართვის მექანიზმები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში“ დოკუმენტურად უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის თანმიმდევრული მექანიზმი. აღნიშნული პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ლოჯისტიკის მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ეტაპის შესაბამისობას დადგენილ წესებსა და კოლეჯის შიდა კონტროლის სტანდარტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში ჩართული მოდულების მასალისა და ნედლეულის საჭიროებების გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის ან პროგრამის ხელმძღვანელის განკარგულების საფუძველზე კოლეჯის ლოჯისტიკის მენეჯერი, დირექტორის ან სასწავლო პროცესის მენეჯერის დავალებით, ახორციელებს მასალისა და ნედლეულის შესყიდვას, როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობის პერიოდში. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, მატერიალური რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და კონტროლს.

თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი განთავსებულია პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯის მხრიდან შესაბამისი მასალისა და ნედლეულის შეძენა მოდულის ფარგლებში აღარ ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს რესურსების ორგანიზებულ და მიზნობრივ გამოყენებას.

სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არატიპური ან რეგულაციებით არ შემოღებული ნარჩენების შემთხვევაში, მათი უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე გარემოსა და მიმდებარე პირების ჯანმრთელობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც გარემოს დაცვას, ისე სასწავლო პროცესის უსაფრთხოებას და კოლეჯის შიდა სტანდარტების დაცვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7.ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

კოლეჯს აქვს შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, ასევე დაინტერესებული მხარეების შეფასებისათვის განკუთვნილი კითხვარების ფორმები, რომლებიც ითვალისწინებენ რესურსების სისტემურ შეფასებას როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის პერსპექტივიდან. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს, გასცემს რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირების მიზნით წარუდგენს მათ კოლეჯის დირექტორს. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს ხარისხის სისტემურ კონტროლს, შედეგებზე დაფუძნებულ მართვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ პირველ სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები, რომლებიც გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისთვის, ხოლო დამატებით ერთი სანიტარიული კვანძი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მარაგდება უწყვეტი წყლით, აქვთ უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია და აღჭურვილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის ერთჯერადი ხელსახოცებით, თხევადი საპნითა და სხვა საჭირო საშუალებებით. ასევე უზრუნველყოფილია სანიტარული კვანძების უწყვეტი განათება და ვენტილაცია. ექსპერტთა შეფასებით, მათი რაოდენობა, სანიტარიული-ჰიგიენური მდგომარეობა შეესაბამება დამაკმაყოფილებელ სტანდარტებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჰიგიენურ გარემოს კოლეჯის დასაქმებულებისა და სტუდენტებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
დაწესებულების სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, ბიბლიოთეკას და საერთო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას
დაწესებულების სივრცეები გამიჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულებაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეები. დაწესებულების ტერიტორიაზე გამოყოფილია სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა. საარქივო დოკუმენტებისთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე, ექსპერტებთან გასაუბრებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად
შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის“ ბიბლიოთეკა განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის შპირსტატო ნუსხით განსაზღვრული პერსონალისათვის. ბიბლიოთეკა აქტიურად უწყობს ხელს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სასწავლო პროცესის მაღალი სტანდარტებით წარმართვას, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მუშაობის ორგანიზებას, სასწავლო გარემოს ფორმირებას და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად. ყველა პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს, პროფესიული განათლების მასწავლებელსა და კოლეჯის პერსონალს თანაბარი უფლება აქვს ისარგებლოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, ციფრული და მატერიალური რესურსით. არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და რეგისტრირებულია საინვენტარო ჟურნალში, რაც უზრუნველყოფს მასალის აღრიცხვას, ორგანიზებულ გამოყენებასა და პროცესის გამჭვირვალობას.ბიბლიოთეკაში განთავსებულია ბიბლიოთეკარის კომპიუტერი, ასლგადამღები/სკანერი, 4 ლეპტოპი და სამუშაო მაგიდები;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- 2025 წლის 23 ივნისს გარი ჩაფიძესა და კოლეჯს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი N 02.04.03.669;
- „მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“ (რეკვიზიტები: №28; 03.12.2025)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა (რეკვიზიტები: N31; 16.12.2025) ;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის,განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები (რეკვიზიტები: N29 08.12.2025) ;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (რეკვიზიტები: N30; 09.12.2025
- პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა და წესი (რეკვიზიტები: N13; 18.09.2025);
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯმა წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს შპს მშენებელ ექსპერტის მიერ 20.01.2021 წელს გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, სადაც კოლეჯის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკური მადგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
რაც შეეხება უსაფრთხოების ზომების დაცვის მიმართულებით, შპს „რუსთავის სამედიცინო კოლეჯმა“ 2025 წლის 24 ივლისს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დადგენის მიზნით. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის შენობა-ნაგებობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების რეგულირებელ სტანდარტებს.
აღსანიშნავია, რომ სახანძრო ზედამხედველობის მიერ 01.09.2025წელს შემოწმების სახანძრო ტექნიკური შემოწმების აქტ N284 გამოვლენილი შეუსაბამობები მოიცავს: ევაკუაციის გეგმების შეუსაბამობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან; ცეცხლმაქრების რაოდენობის არასაკმარისობას; საევაკუაციო გასასვლელების რაოდენობისა და მდებარეობის შეუსაბამობას (შენობის პირველ სართულს არ გააჩნია მეორე საევაკუაციო გასასვლელი); დერეფნების კედლების მოპირკეთებას წვადი მასალებით, რაც არ შეესაბამება რეგულირებად ნორმებს; სიგნალიზაციის სისტემის გაუმართაობას; ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემის შეუსაბამობას; საევაკუაციო გზებზე აუცილებელი მანიშნებლების არარსებობას; აგრეთვე ავარიული განათების სისტემის გაუმართაობას.

კოლეჯის დირექტორმა წარმოადგინა რიგი დოკუმენტაცია , რომლითაც დასტურდება რომ შეუსაბამობების ნაწილი უკვე გამოსწორებული აქვს.რაც ექსპერტებმა ვიზუალური დათვალიერებით და დოკუმენტაციის შესწავლით დაადასტურეს. თუმცა, ისეთი საკითხები, როგორებიცაა ფანჯრებზე დამონტაჟებული გისოსები და შენობის პირველ სართულზე მეორე საევაკუაციო გასასვლელი კვლავ მოსაგვარებელია.
დაწესებულებას დამტკიცებული და თვითშეფასების კითხვართან ერთად წარმოდგენილი ქონდა 18 თვიანი ვადით შემუშავებული სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის ფარგლებშიც ამ მიმართულებით ყველა შეუსაბამობის გამოსწორება ქონდა დაგეგმილი.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული შეუსაბამობები წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის დასაქმებულების უსაფრთხოებისათვის. მათი არასწორი ან არასაკმარისი კონტროლი ზრდის სასწავლო პროცესის დროს შემთხვევითი ინციდენტების წარმოშობის შესაძლებლობას. აღნიშნული ვითარება მოითხოვს დაუყოვნებელ გამოსწორებას, სისტემურ მონიტორინგსა და კონტროლის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს კოლეჯის შენობა-ნაგებობის სრულად შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციებთან.ვინაიდან სახანძრო უსაფრთხოების უარყოფით დასკვნაში დაფიქსირებული შეუსაბამობების 80%-ზე მეტი უკვე შესრულებულია.
პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის დასაქმებულთა უსაფრთხოების გათვალისწინებით, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დარჩენილი შეუსაბამობები აუცილებელია აღმოფხვრას სასწავლო პროცესის დაწყებამდე. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებთან აღნიშნული დიალოგის შედეგად, კოლეჯმა დირექტორის 2026 წლის 18 მარტის ბრძანება N07-ის საფუძველზე შეიტანა ცვლილება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ხანგრძლივობაში, ვადა შემცირდა და განისაზღვრა, რომ სრული შესაბამისობის დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან 2026 წლის ნოემბრამდე იქნება მიღებული.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დასკვნის პროექტში შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“ და <u>დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან (5.1.2 ქვესტანდარტი) შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში 30.11.2026 წელი უზრუნველყოს შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

პირველი სამედიცინო გადაუდებელი დახმარება წარმოადგენს პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტს. კოლეჯში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია კვალიფიციური პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების განხორციელებას და ზედამხედველობას. დამატებით, კოლეჯში განთავსებულია სპეციალურად აღჭურვილი სივრცე, რომელიც აღიჭურვა შესაბამის ინვენტარითა და პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში“ შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეესაბამება საქართველოს მთავრობის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებულ „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ გეგმას“ (მუხლი 5) და წარმოადგენს კოლეჯის საქმიანობის სამოქალაქო უსაფრთხოების საფუძველს. გეგმა არის ასევე „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლო საგანგებო სიტუაციებზე პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირების და აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებას.

კოლეჯში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირების და აღდგენითი სამუშაოების კოორდინირების ძირითად ორგანოს. საგანგებო შტაბი განთავსებულია ქ. რუსთავი, შევჩენკოს N5 ლოკაციაზე. შტაბის უფროსი არის კოლეჯის დირექტორი, ხოლო ლოჯისტიკის მენეჯერი სპეციალურად უფლებამოსილი პირია, რომელიც დანიშნულია ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ და, გეგმის შესაბამისად, კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და რესურსებს.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან განხორციელებული შეთანხმება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შინაარსსა და განხორციელების პროცედურებს უზრუნველყოფს, რაც მაღალ დონეზე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების, პერსონალის და სხვა დაინტერესებული მხარეების უსაფრთხოებას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს ორგანიზებულ კოორდინაციას, დროულ რეაგირებასა და ეფექტურ პრევენციულ ღონისძიებებს სხვადასხვა ტიპის საგანგებო სიტუაციებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის“ დაცვის თანამშრომლები უზრუნველყოფს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ქონების დაცვას და ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელებას მატერიალური ფასეულობების დაზიანების ან განადგურების პრევენციის მიზნით. დაცვის თანამშრომლები პასუხისმგებელნი არიან კოლეჯის შენობა-ნაგებობაში, ეზოში და სხვა სამონიტორინგო ტერიტორიებზე განთავსებული ქონების უსაფრთხოებაზე, აკონტროლებენ კოლეჯში შესვლას და გამოსვლას სადარაჯო პუნქტების მეშვეობით, ასევე ზედამხედველობენ მატერიალური ფასეულობების გატანა-შემოტანაზე. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასწავლო შენობასა და შენობის პერიმეტრზე დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები აღჭურვილია ჩანაწერების შენახვის ფუნქციით. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების გამოკვლევის აქტი;
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებული დოირექტორის ბრძანება N 32; 16.12.2025, ცვლილება 2026 წლის 18 მარტის N07 ბრძანება)
- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (დამტკიცებული დოირექტორის ბრძანება N 13; 18.09.2025)
- პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა და წესი (დამტკიცებული დირექტორის ბრძანება :N 13; 18.09.2025)
- დაცვის თანამშრომელის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმეები;
- შპს „მშენ ექსპერტი“ -მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, დაწესებულების მფლობელობაშია: 4 პერსონალური კომპიუტერი და 28 ლეპტოპი. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ რესურსების უწყვეტ მიწოდებას მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). ინტერნეტის მომსახურებასთან დაკავშირებით გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად მეიჯარე იღებს ვალდებულებას მოიჯარე უზრუნველყოს ინტერნეტის უწყვეტი მიწოდებით. კომპიუტერების პარამეტრები სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შესაბამისია. დაწესებულების მლობელობაშია ასევე 4 პრინტერი, 4 მონიტორი, 2 პროექტორი და სხვა. წარმოდგენილი ტექნოლოგიური რესურსი სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას. ექსპერტთა შეფასებით IT ინფრასტრუქტურა საგანმანათლებლო პროგრამებისა (1 პროგრამა) პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია. IT ინფრასტრუქტურა იძლევა სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული პროცესების სრულყოფილად წარმართვის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში“ მოქმედებს „მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, რომელიც რეგულირებს ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების დანერგვას, განვითარებას, უსაფრთხოების კონტროლსა და დაკავშირებულ რისკების მართვის მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის საინფორმაციო მენეჯერს, ხოლო ლოჯისტიკის მენეჯერი და საინფორმაციო მენეჯერი, მათი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ ქსელის, უსაფრთხოების კამერებისა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის ფუნქციონირებას.
კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების მიზნებისათვის და აღჭურვილია საკმარისი პარამეტრების მქონე მოწყობილობებით, რომლებიც პერიოდულად ექვემდებარება განახლებას და გამართვას. სისტემები მუდმივად დაკავშირებულია ინტერნეტთან 24/7 რეჟიმში, როგორც პერსონალის სამუშაო სივრცეებში, ასევე სასწავლო აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერები აღჭურვილია უწყვეტი კვების წყაროებით (UPS), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაკარგვის პრევენციას ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში და სისტემის უწყვეტ მუშაობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტროლის მექანიზმები მოიცავს ვირუსების გავრცელების პრევენციას, არასანქცირებული ვებგვერდების წვდომის შეზღუდვას, ქსელის უსაფრთხოების მონიტორინგსა და პერიოდულ ინციდენტებზე რეაგირებას. კოლეჯის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi), რომლის მართვა, დაცულობა და მონიტორინგი ასევე უზრუნველყოფილია საინფორმაციო მენეჯერის მიერ.
განხორციელდა გასაუბრება საინფორმაციო მენეჯერთან, რომელმაც აღნიშნა რომ კოლეჯში არსებული სისტემები უზრუნველყოფს ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოებას, კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობას, თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის კომუნიკაციების ხელმისაწვდომობას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში მაღალი ხარისხის შესრულების უზრუნველყოფას

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას
შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის გამჭვირვალობა, დაცვა და კანონიერება.
პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი მარეგულირებელი აქტების მოთხოვნების სრული დაცვით. პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუფერხებელ დაცვას.
პოლიტიკაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მნიშვნელობებს. კოლეჯი უზრუნველყოფს პოლიტიკის ხელმისაწვდომობას საჯაროდ, კერძოდ, კოლეჯის ვებგვერდზე, რათა ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს მას.
პერსონალურ მონაცემებს კოლეჯი ამუშავებს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. კოლეჯში საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც აყვანილია შრომითი ხელშეკრულებით. აღნიშნული პირი პერიოდულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს და მონიტორინგს , რათა უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის ეფექტური და სრული განხორციელება.
ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები ადეკვატურია, უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხისმგებელი პირი.

4.პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
კოლეჯს აქვს შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, ასევე დაინტერესებული მხარეების შეფასებისათვის განკუთვნილი კითხვარების ფორმები, რომლებიც ითვალისწინებენ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემურ შეფასებას როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის პერსპექტივიდან. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს, გასცემს რეკომენდაციებს და შემდგომი რეაგირების მიზნით წარუდგენს მათ კოლეჯის დირექტორს. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს ხარისხის სისტემურ კონტროლს, შედეგებზე დაფუძნებულ მართვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში“ მოქმედებს **მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი**, რომელიც განსაზღვრავს როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების, ასევე კოლეჯის მატერიალური რესურსების ეფექტურ, უსაფრთხო და მიზნობრივ გამოყენების მექანიზმებს. წესით რეგულირდება თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენების პროცედურები.
პროფესიული სტუდენტი ან მსმენელი უფლებამოსილია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებაზე პროფესიული განათლების მასწავლებლის ან პროგრამის განმახორციელებლის ნებართვის საფუძველზე, კოლეჯის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მინიჭებული აქვთ **თანაბარი უფლება** ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესისა და სამუშაო მოვალეობების თანმიმდევრულ და ეფექტურ განხორციელებას.
კოლეჯის **ლოჯისტიკის მენეჯერი** არის პასუხისმგებელი აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.
ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს როგორც მატერიალური და საინფორმაციო რესურსების უსაფრთხო, კანონიერ და ეფექტურ გამოყენებას, ისე სტუდენტების/პერსონალისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის ხარისხის შენარჩუნებას და ინვესტიციის ეფექტიან მართვას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით
კოლეჯს სარგებლობს საკუთარი დომეინითა და ჰოსტინგით, რომლის ფარგლებში შექმნილი აქვს ვებგვერდი, შექმნილია კოლეჯის ოფიციალური მეილი და დასაქმებული პერსონალის კორპორატიული ელექტრონული საფოსტო მისამართები. პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ იგეგმება ერთიანი ელექტრონული სისტემების შექმნა, როგორიცაა დახურული ელექტრონული ჯგუფები და ა.შ

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის სამუშაო აღწერილობა, პირადი საქმე და გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა (რეკვიზიტები: N31; 16.12.2025) ;
- ელ ფოსტის მისამართები ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- დომეინის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- საინფორმაციო მენეჯერის სამუშაო აღწერილობა, პირადი საქმე და გაფორმებული ხელშეკრულება;
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის (შემდგომში – კოლეჯი) დირექტორის ბრძანებით N 14(22.09.2025) /ცვლილების ბრძანება N36, 22.12.2025 წ, დამტკიცებული საქმისწარმოების წესი სავალდებულოა შესასრულებლად კოლეჯში დასაქმებულ პირთათვის და წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს კოლეჯში მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებაზე. საქმისწარმოების წესის შემუშავების მიზანია კოლეჯში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, მათი გაფორმების ხარისხის ამაღლება. კოლეჯში საქმისწარმოებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება დაწესებულების ხელმძღვანელს და ახორციელებს კოლეჯში შემოსული და გასული კორესპონდენციის, ხელშეკრულებების,ასევე სხვა შიდა დოკუმენტაციის რეგისტრაციას, სისტემატიზაციას და დროულ მიწოდებას ხელმძღვანელობასა და შემსრულებლებისათვის. დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალური სახით, დოკუმენტების რეგისტრაციების ჟურნალები გაფორმებულია დაწესებულების საქმისწარმოების წესების და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით. რაც შეეხება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის eflow-ს დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 23 დეკემბერს სსიპ საქართველოს ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში Eflow-ს ჩართვის შესახებ(2 მომხმარებლის იუზერით) , თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით eflow-ს სისტემაში მუშაობა არ არის დაწყებული, მიზეზი არის დამოუკიდებელი ინტერნეტის ხაზის არარსებობა. დაწესებულების ხელმძღვანელს აქვს მოპალარაკება შესაბამის კომპანიასთან დამოუკიდებელი ინტერნეტის შემოყვანის საკითხებზე. რაც შეეხება დაწესებულებაში გამოცემული აქტების, მათ ხელშეკრულებების აღრიცხვას საქმისწარმოების წესის მუხლი 3. მიხედვით ხელშეკრულებებს განეკუთვნება: ა) პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; ბ) შრომითი ხელშეკრულება. გ) სხვადასხვა შინაარსის ხელშეკრულებები კოლეჯის საქმიანობიდან გამომდინარე. შრომით ხელშეკრულებას დაესმება თარიღი (რიცხვი, თვე და წელი) ციფრებით სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც კოლეჯის პერსონალთან/პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებელთან/პროფესიული მომზადება/გადამზადების განმახორციელებელ პირთან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მოიცავს ინდექსს - „შ“, კალენდარული წლის განმავლობაში დადებულ ხელშეკრულებათა რიგით ნომერს და დაესმება კოლეჯის ბეჭედი. ნებისმიერი სხვა სახის ხელშეკრულება გამოცემის თარიღისა და სარეგისტრაციო ნომრის რიგითობის შესაბამისად თავსდება ხელშეკრულებისთვის განკუთვნილ საქაღალდეში. ექსპერტების მიერ გადამოწმდა მატერიალური საქმისწარმოების ფარგლებში დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, მათ შორის ბრძანებების, შემოსული გასული კორესპონდენცია და ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოწმების დროს აღმოჩნდა რომ ხელშეკრულებების აღრიცხვა(ეხება მხოლოდ სხვა სახის ხელშეკრულებებს როგორიცაა პრაქტიკის ხელშეკრულებები, იჯარის ხელშეკრულება და სხვა) მიმდინარეობს დაწესებულების კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესის დარღვევით, ხელშეკრულებებს მინიჭებული აქვთ არა რიგითი ნომერი არამედ ექვსნიშნა/შვიდნიშნა კოდები, რომელიც საქმისწარმოების წესში არის მოცემული, საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის განმარტებით მოხდა ტექნიკური შეცდომა, რის გამოც ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი დაირღვა და წარიმართა არასწორად. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წინამდებარე კომპონენტები შეიტანა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, კერძოდ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ამოქმედდება განისაზღვრა არაუგვიანეს 6 თვეში, ხოლო ხელშეკრულებების აღრიცხვიანობის მოწესრიგება საქმისწარმოების წესების მიხედვით არაუგვიანეს 2 თვეში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1. დასკვნის პროექტში შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში 30.08.2026 წელი უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ამოქმედდება, ხოლო არაუგვიანეს 30.04.2026 წელი ხელშეკრულებების სწორი აღრიცხვიანობა საქმისწარმოების წესების მიხედვით .

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯს“ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ საქართველოს ოპერატიულ ტექნიკურ სააგენტოსთან დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემა – Eflow -ში ჩართვის მიზნით, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს საინსტალაციო და დანერგვის პროცესები. აღნიშნული სისტემა განკუთვნილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მართვის სრულყოფისთვის, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების რეგისტრაციის, შენახვის, მართვისა და ადმინისტრირების პროცესების სტანდარტიზაციას. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წინამდებარე კომპონენტი შეიტანა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, კერძოდ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ამოქმედდება განისაზღვრა არაუგვიანეს 6 თვეში,

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2. დასკვნის პროექტში შეფასებულია, როგორც „მეტწილი შესაბამისი“ და დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში 30.08.2026 წელი უზრუნველყოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ამოქმედდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

დაწესებულება ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან ჩაერთვება აღნიშნულ სისტემაში და განახორციელებს ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემაში (e-vet.emis.ge) ინფორმაციის დროული შეტანის ვალდებულება აკისრია დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი“ დროულად აწვდის საჭირო ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. შემოწმების დროს შეფასდა, რომ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი დოკუმენტაცია, მათ შორის თვითშეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები, განახორციელა განსაზღვრული ვადების შესაბამისად.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 14(22.09.2025) /ცვლილების ბრძანება N36, 22.12.2025 წ,
- საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობა, პირადი საქმე და გაფორმებული ხელშეკრულება;
- გამოცემული ბრძანებები;
- საქმისწარმოების ფარგლებში სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის EFLOW ხელშეკრულება ;
- დირექტორის 2026 წლის 18 მარტის N 07 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდია https://www.academmedical.edu.ge/ , რომელზეც განთავსებულია: საკონტაქტო ინფორმაცია მისამართის მითითებით, მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, ინფორმაცია მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულების, საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და სიახლეები. ვებგვერდზე არსებობს სიტყვით ძებნის და შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია. დაწესებულების ოფიციალური სოციალური ქსელის გვერდია: https://www.facebook.com/profile.php?id=61584284634580 ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი **5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.**

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. დაწესებულების მისიასა და სტრატეგიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. დაწესებულებას აქვს მხოლოდ ქართულენოვანი ვებგვერდი **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია**

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

დაწესებულებაში მოქმედებს შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებსა და მათი განხორციელების ფორმებს. დოკუმენტი ასევე არეგულირებს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს. კატალოგს დაწესებულებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ექსპერთა მიერ დადასტურდა, რომ კატალოგი განახლებულია და ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

დაწესებულება გეგმავს კატალოგის განახლებას კოლეჯში განხორციელებული სიახლეების გათვალისწინებით. კატალოგის განახლებაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის წლიურ განახლებას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი განახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.**

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაცია ხორციელდება კოლეჯის ელექტრონული ფოსტის, ვებგვერდის, სოციალური ქსელების, კოლეჯის შენობის ღია სივრცისა და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. საჭირო ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია როგორც ვერბალური ფორმით, ასევე აუდიტორიებსა და კოლეჯის ღია სივრცეში მასშტაბური შეხვედრების ორგანიზების გზით. კოლეჯი სისტემატურად აანალიზებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით შემოსულ შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს. აღნიშნული მონაცემების ანალიზს ახორციელებს პროფორიენტაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, შესაბამის თანამშრომლებთან თანამშრომლობით. მიღებული შედეგები გამოიყენება კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (რეკვიზიტები: N 20; 15.10.2025) ;
- სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=61584284634580
- ვებგვერდი: https://www.academmedical.edu.ge/
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ინტერნეტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება;
- პროგრამის კატალოგი https://www.academmedical.edu.ge/learning/catalog ;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

კოლეჯი დაფუძნებულია კერძო სამართლის იურიდიულ პირად, ხოლო მისი შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ამ ეტაპზე წარმოადგენს დამფუძნებლის შენატანი. შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯს“ გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას.

ფინანსური მდგრადობის გაძლიერების მიზნით, 2025 წლის 31 ივლისს კოლეჯმა გააფორმა მემორანდუმი (№ 23411/025) საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტთან. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, ავტორიზაციის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში, ინსტიტუტი უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობის დაფინანსებას წლიურად 100 000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

კოლეჯის ფინანსებზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს დაწესებულებაში ფინანსური და ბუღალტრული პროცესების ეფექტიან დაგეგმვასა და მართვას. იგი ასევე ახორციელებს მიმდინარე პროექტების ფინანსურ ადმინისტრირებას, აკონტროლებს ფინანსურ ნაკადებს და უზრუნველყოფს შემოსავლების მიზნობრივ და გამჭვირვალე ხარჯვას.

კოლეჯს დამტკიცებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტები, რომლებშიც ასახულია და გაანალიზებულია წლის განმავლობაში მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები. ამ ეტაპზე, კოლეჯის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დამფუძნებლის შენატანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფინანსური მდგრადობის გაძლიერების მიზნით, 2025 წლის 31 ივლისს კოლეჯმა გააფორმა მემორანდუმი (№ 23411/025) საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტთან. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, ავტორიზაციის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში, ინსტიტუტი უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობის დაფინანსებას წლიურად 100 000 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს საკუთარი ფინანსური მდგრადობის შეფასებას, აანალიზებს შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით, გეგმავს სამომავლო ოპერაციებსა და ფინანსურ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე და უზრუნველყოფს გამოვლენილი საჭიროებებისა და გამოწვევების დროულ იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესისა და ინსტიტუციური საქმიანობის ხარისხის უწყვეტ განვითარებას.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რის საფუძველზეც დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს ფაქტობრივი დანახარჯების ანალიზს და აღნიშნულს ითვალისწინებს მომდევნო წლის ბიუჯეტირების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების განვითარების ერთწლიანი გეგმა;
- დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტი;
- 2025 წლის 31 ივლისს გაფორმებულიმემორანდუმი N 23411/025 საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტთან.
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის N25 ბრძანებით , ცვლილება შეტანილია 2026 წლის 17 მარტის N6 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა N5
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	კოოპერაციული 60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II.ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს "რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი" არის დაწესებულება, რომლის ფუნქცია საგანმანათლებლო საქმიანობასთან, კონკრეტულად, კი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გასდამზადების პრგორამების განხორციელებასთანაა დაკავშირებული. კოლეჯის მისიაა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების საფუძველზე უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურება ჯანდაცვისა და მედიცინის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალისტების მომზადებას, როგორც რეგიონულ დონეზე, ისე ქვეყნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასშტაბით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პსდ) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას და მის პრიორიტეტულ მიმართულებებს.

სტატისიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ქვეყანაში ექთნების დეფიციტია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ექთნებისა და ექიმის თანაფარდობა 4:1-ზე უნდა იყოს, მაშინ როდესაც ექთნისა და ექიმის თანაფარდობა ერთსაც არ უტოლდება. შესაბამისად, ჯანდაცვის სიტემა და მოსახლეობისათვის მიწოდებული მომსახურება არსებითად არის დამოკიდებული ქსელში მომუშავე კადრების რაოდენობაზე, მათ მომზადებასა და შენარჩუნებაზე. კვლევის ანგარიშის მიხედვით, „მედდების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში“, დღესდღეობით საქრთველოში 13000-ზე მეტი ექთანია დასაქმებული, ხარისხიანი მუშაობისთვის კი, სპეციალისტთა მოსაზრებით საჭიროა ამ ციფრის 30000-მდე გაზრდა. კოლეჯმა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, იხელმძღვანელა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევით, „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტი“, კურაციოს მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზით, „ადამიანური რესურსი ჯანდაცვის სექტორში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის და დაზღვევის ინსტიტუტისა და ბიზნესის სკოლის მიერ განხორციელებული კვლევით, „ექთნების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში“, საექთნო განათლების განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის N334 დადგენილებით, რომლის თანახმად საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური, საექთნო განათლების თანამედროვე კონცეფციის მქონე ექთნების მწვავე დეფიციტს განიცდის. სისტემაში დასაქმებული ექთნების 20%-მა 2014 წელს უკვე მიაღწია საპენსიო ასაკს და ექთნების რაოდენობა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა და 2017 წელს შეადგინა 509.0 (100 000 მოსახლეზე), ის მაინც საკმაოდ ჩამორჩება სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს.

კოვიდპანდემიის პერიოდმა კიდევ უფრო მწვავედ წარმოაჩინა ექთნების დეფიციტის არსებობა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია სპეციალური ანგარიშით მოუწოდებს მთავრობებს, ჩადონ ინვესტიციები ახალი ექთნების მომზადების დაჩქარებისა და უკვე დასაქმებული ექთნების შენარჩუნების პროექტებში. ანგრიშით ირკვევა, რომ მსოფლიოში დაახლოებით 28 მილიონი მედდა მუშაობს. 2013 - დან 2018 წლამდე მათი რაოდენობა 4.7 მილიონით გაიზარდა, თუმცა ექთნების დეფიციტი მთელს მსოფლიოში ფიქსირდება და ეს დანაკლისი 5.6 მილიონ კადრს შეადგენს. შესაბამისად, არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მოუწოდებს ქვეყნებს, საექთნო განათლების კურსდამთვრებულთა რაოდენობა წელიწადში 8% - ით გაზარდონ, პარალელურად შექმანან სამუშაო ადგილები და მიიღონ ზომები ჯანდაცვის სფეროში ექთნების შესანარჩუნებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადების, კოლეჯის მიერ ჩატარებული პროფორიენტაციული ხასიათის შეხვედრებისას აპლიკანტების მხრიდან მზარდი ზეპირსიტყვიერი მომართვიანობისა და რეგიონში არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი“ მიზანშეწონილად მიიჩნევს განახორციელოს „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის №25 ბრძანებით და შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „საექთნო განათლება“, რომლის თანახმად შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები დამტკიცებულია - პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურებით, რომლის საფუძველზე დაინტერესებულ პირს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
სამედიცინო კოლეჯს შემუშავებული აქვს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც არეგულირებს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის დადგენას, რათა სამედიცინო კოლეჯმა მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეძლებს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემას მის მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.
სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გათვლილია ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად. რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსის ოდენობა, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტარობა, კერძოდ, ერთი A გარემო და ერთი AB გარემო, პარტნიორ ორგანიზაციებში თითოეულ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა, ბიბლიოთეკის რესურსი, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა და სხვა ფაქტორები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების არსებობა, ასევე მათი შესაბამისობა შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო მასალები, სრულად რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლება არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია - კოლეჯის „დებულებით. პროგრამის დამტკიცება და ცვლილებების განხორციელება არის კოლეჯის დირექტორის უფლებამოსილება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია სამედიცინო კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის №25 ბრძანებით . პროგრამაში ცვლილება შეტანილია 2026 წლის 17 მარტის N6 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო განათლება“ გამომდინარეობს ჩარჩო დოკუმენტის დასახელებიდან „საექთნო განათლება“. სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. სწავლის შედეგები უშუალოდ არის დაკავშირებული პროფესიასთან.

წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „საექთნო განათლების “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - საექთნო განათლება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია და პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირების რეკომენდაციებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია (180 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 210 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა - 31 სასწავლო თვე (125 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 37 სასწავლო თვე (149 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს. დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამედიცინო კოლეჯის მისია https://www.academmedical.edu.ge/about/college-mission
- სტრატეგიული განვითარების გეგმა https://www.academmedical.edu.ge/about/regulations

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „საექთნო განათლება “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით https://www.academmedical.edu.ge/about/regulations
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 60 პროფესიული სტუდენტი. ,,საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და ფლობის დოკუმენტაციით. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი A და ერთი AB გარემო. სასწავლო გარემოებში არის 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო ადგილი, პროექტორი, საპროექციო დაფა. ABგარემოში განთავსებულია: 20 ლეპტოპი პროფესიული სტუდენტებისათვის, ერთი კომპიუტერი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის 1 მულტიფუნქციური პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი საპროექციო დაფა.

ექსპერტების შეფასებით წარმოდგენილი აღჭურვილობა სრულად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ნაწილის სწავლება, ძირითადად პრაქტიკის ობიექტებზე იგეგმება. პრაქტიკული სწავლების მოდულების, ასევე კლინიკური სწავლების მოდულების განხორციელება იგეგმება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში :

- შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (გაფორმებული . 23.07.2025წ) 20 პროფესიულ სტუდენტზე;
- შპს კლინიკა რუსთავი (გაფორმებული .23.07.2025წ) 20 პროფესიულ სტუდენტზე;
- სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო “ (გაფორმებული 03.10.2025წ.) 20 პროფესიულ სტუდენტზე;
- სს „რუსთავის ბავშვთა საავადყოფო“(გაფორმებული 03.11.2025წ.) 20 პროფესიული სტუდენტზე;
- ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი'' (გაფორმებული 10.09.2025წ.) 20 პროფესიულ სტუდენტზე.

თითოეულ ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. ხელშეკრულების თანახმად თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას შესაბამის განყოფილებებში. აღსანიშნავია რომ ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია ზღვრული ოდენობის პროფესიული სტუდენტათვის პრაქტიკის ობიექტზე მოდულების განხორციელება.

- შპს ,,კლინიკა რუსთავში“ განხორციელდება შემდეგი მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა; 7. კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა; 8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 9. კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა; 10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა.
- სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოში “განხორციელდება შემდეგი მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 3. კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა--თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5. კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა; 7. კლინიკური პრაქტიკა -ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა; 8.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსს „რუსთავის ბავშვთა საავადყოფო“განხორციელდება ორი მოდული 1. კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები; 2.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრია და მოზარდები;
- შპს ,,რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში განხორციელდება ორი მოდულის 1.„კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ 2.„შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია“ პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამის ფარგლებში კლინიკური სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად სამედიცინო დაწესებულება ერთდროულად მიიღებს ერთ ცვლაში 10 პროფესიულ სტუდენტს,ხოლო ორ ცვლაში 20 პროფესიულ სტუდენტს.
- ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასში'' განხორციელდება ორ მოდული : 1. „ავადმყოფის მოვლა“ , 2. „შინმოვლა“. ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს კარიტასი სრულად უზრუნველყოფს.

კლინიკური სწავლების მოდულებში ჩართულნი იქნებიან კონტრაქტორი კლინიკების პრაქტიკოსი ექთნები 7/1 თანაფარდობით.

ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება შპს ,,კლინიკა რუსთავში“ და სსს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოში“ აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები / ინსტრუქტორებთან გასაუბრებისას მათ გამოხატეს სრული მზაობა სტუდენტების მიღებისთვის და გასაუბრებისას აღნიშნეს რომ სხვა დაწესებულებებთანაც თანამშრომლობენ და აქვთ სწავლების/შეფასების გამოცდილება. ყოველივე ზემოხსენებული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ პროგრამის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას იქნებიან უზრუნველყოფილ შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (60 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 22 პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომლებიც სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმები და ექთნები არიან. თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის საფუძველზე. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

განმახორციელებელი პირების შემადგენლობა ასე გადანაწილებულია:

- 4 — ზოგადი მოდულების მასწავლებელი,
- 2 — ქართული ენის მასწავლებელი,
- 16 — პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ მასწავლებელთა დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის წარმომადგენელს, სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში აქვს სასწავლო პროცესის განხორციელების უფლებაც. აღნიშნული პრაქტიკა დანერგილია დაწესებულებაში, დოკუმენტების გადამოწმების და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი არ არის განსაზღვრული და დარეგულირებელი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებით, შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების რეკომენდაცია განსაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი შინაგანაწესში ან პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის რეგულირებას და შრომის კანონმდებლობის ეფექტურ დაცვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც ისინი არიან უფლებამოსილნი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში მონაწილეობისათვის. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ექსპერტების მიერ ადგილზე, გადამოწმდა. ასევე, განმახორციელებლებს წარმოდგენილი აქვთ სერტიფიკატები, რომლებიც ადასტურებს მონაწილეობას ჩატარებულ შესაბამის ტრენინგებში.
ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს რეგულარულად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები როგორც დარგობრივი კომპეტენციის, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სწავლის დაწყებამდე დაგეგმილია კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების და შეფასების ტრენინგების ჩატარება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქციებსა და მოვალეობებს, მონაწილეობდა პროგრამის დაგეგმვისა- ადაპტირების პროცესებში და გამოხატავს მზადყოფნას სრულად ჩაერთოს პროგრამის განხორციელებისა და განვითარების ყველა ეტაპში. პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად არის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯის ბიბლიოთეკაში სათანადოდ არის დამუშავებული საგანმანათლებლო რესურსი. იგი წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმატით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. რესურსში შედის დარგობრივი ლიტერატურა და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული მასალები. დაინტერესებული პირები გამოიყენებენ აღნიშნულ რესურსებს სპეციალურად აღჭურვილ სამკითხველო დარბაზში, რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, კომპიუტერებითა და პრინტერული ტექნიკით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების საწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სპეციალურად შემუშავებულ დოკუმენტს პროფესიული სტუდენტისათვის, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო მიზნები და სწავლების შედეგების მიღწევის გზები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება იკვეთება იმ შემთხვევებში, როდესაც სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუმცა ვერ აღწევს წინასწარ განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი“ ამჟამად ფინანსდება შპს-ის შემოსავლებით და პარტნიორი ორგანიზაციების შემოწირულობებით. ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ, „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაფინანსდება ვაუჩერული წესით. კოლეჯს აქვს შემუშავებული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც განსაზღვრავს საჭირო ფინანსურ რესურსებსა და ხარჯებს.

რენტაბელობის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს ჯგუფში 5 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი, რაც წარმოადგენს საფუძველს პროფესიული სტუდენტთა ჯგუფების დაკომპლექტებისა და პროგრამის ფუნქციონირებისთვის. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი ხარჯები მოიცავს პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ადმინისტრირების ხარჯს, სასწავლო რესურსებისა და მასალა-ნედლეულის შეძენას, რაც წარმოადგენს რენტაბელობის ზღვრის გაანგარიშების საფუძველს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, ცვლილებების შეტანა, განხორციელება, შეფასება და გაუქმება განხორციელდება პროგრამის შეფასების კომპონენტის გამოყენებით, რომელიც მიზნად ისახავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმი ეფუძნება პროფესიული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით, კოლეჯი: შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას; განსაზღვრავს სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას პროგრამის შეფასებისათვის, მათ შორის:

- პროფესიული სტუდენტთა კითხვარები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა კითხვარები;
- კურსდამთავრებულთა სტატისტიკური მონაცემები;
- დამსაქმებელთა კითხვარები და ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფის სხდომების ოქმები და სხვა.

შეფასება ჩატარდება გამოკითხვის მეთოდით, პროფესიული სტუდენტთა ჩარიცხვისა და კურსდამთავრებულთა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების საფუძველზე. პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმებს. ეს მოიცავს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის ცვლილებების განხორციელებას. პროგრამაში ცვლილება განხორციელდა წინამდებარე წესის დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (რეკვიზიტები:№24; 04.11.2025)
- პროფესიული სტუდენტთა კითხვარები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა კითხვარები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურსდამთავრებულთა კითხვარები;
- დამსაქმებელთა კითხვარები ;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

„საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება შემუშავებული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობას, დაშვების წინაპირობების დაცვას და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებას გაახორციელებს პროფესიული სტუდენტის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. სასწავლო ცხრილების შედგენისას ითვალისწინება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები, ხოლო ცხრილები მომზადდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სტუდენტთან შეთანხმებით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, ასევე დარეგულირებულია მოდულის სწავლის შედეგების გადაბარებისა და გასაჩივრების პროცედურები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, მათ შორის ციფრული დემონსტრირების საშუალებებით, რაც სწავლის სედეგების მისაღწევად არის საჭირო. პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე უწყვეტად მიმდინარეობს ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება დასწრების ფურცლებით. დარგობრივი მოდულების განმახორციელებლებს წარმოდგენილი აქვთ დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების ტრენინგების გავლას დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულება უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმებს პროფესიული სტუდენტების ჩართულობით, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. პროცესი სრულად ემყარება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს როგორც სამართლებრივ დაცულობას, ასევე სტუდენტების მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის მაქსიმიზაციას მათი პირადი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული საკითხი გაწერილია დაწესებულების სასწავლო წესის მარეგურილებელი დოკუმენტის მე-15 მუხლში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეს არის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულებები შემდეგ კლინიკებთან:

- შპს „რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (გაფორმებული 23.07.2025) – 20 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „კლინიკა რუსთავი“ (გაფორმებული 23.07.2025) – 20 პროფესიული სტუდენტი;
- სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“ (გაფორმებული 03.10.2025) – 20 პროფესიული სტუდენტი;
- სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო“ (გაფორმებული 03.11.2025) – 20 პროფესიული სტუდენტი;
- ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (გაფორმებული 10.09.2025) – 20 პროფესიული სტუდენტი.

თითოეულ ხელშეკრულებაში დეტალურად არის განსაზღვრული:

- საექთნო განათლების პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო ინფორმაცია;
- ჩართული ინსტრუქტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- მატერიალური რესურსების ჩამონათვალი;
- მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
- პროფესიულ სტუდენტთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- პროფესიულ სტუდენტთა უზრუნველყოფა შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით, ასევე მასალა-ნედლეულით;
- პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობა შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებში;
- ხელშეკრულების ვადები, რომლებიც ემთხვევა ავტორიზაციის ვადებს;

ასევე წარმოდგენილია კლინიკების საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო ნებართვები, რომელიც შესაბამისობაშია განსახორციელებელი მოდულების სწავლის შდეგებისა; წინამდებარე ინფორმაცია დადასტურდა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, პრაქტიკის ობიექტზე კი სპეციფიური უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
- გასაუბრების შედეგები;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
დაწესებულებას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. აღნიშნული წესი მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების შექმნის პროცესებს, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას, შეფასების ადმინისტრირებას, აპელაციის წესს, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების წესს, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურებს, ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესებს, ასევე სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა-განხორციელებისთვის საჭირო სხვა პროცედურებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

კოლეჯში დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით შეიქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის მიმართულებები მოიცავს:

- შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაციას;
- შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტში დეტალურად განსაზღვრულია თითოეული მონაწილის უფლებები და პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც თანამშრომლობს დარგის სპეციალისტებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება მატერიალურ ან ელექტრონულ მტკიცებულებებით, რომელთა სახეობა განსაზღვრულია შესაბამისი მოდულის მოთხოვნებით. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება ხდება მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.

კოლეჯში შექმნილი მტკიცებულებები შეინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი. მტკიცებულებები დაცული იქნება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად. წინამდებარე მექანიზმები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პერიოდულად განახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, მოდულების განმახორციელებლებთან და პროფესიული სტუდენტებთან თანამშრომლობით. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას, მაგალითად, შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფას და საჭიროების შემთხვევაში მათ შეცვლას. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

21.04.2026წ
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: